

შპს „აგრომშენსერვისი“

ს/ნ 204887961

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1)	2
2. ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2)	4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3)	5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. სხვა საოპერაციო ხარჯები
8. ფინანსური ხარჯები
9. ფული და ფულადი ექვივალენტები
10. მოთხოვნები
11. კაპიტალი
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები
13. მიღებული სესხები
14. მიწოდება/მომსახურების და სხვა ვალდებულებები
15. პირობითი ვალდებულებები
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს „აგრომშენსერვისი“ ს/წ 204887961

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 01.01.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (1110/1210/1220)	430 691.00	195 611.00	420 640.00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (1410/1411)	407 803.00	44 621.00	766 992.00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ (1430/1435)	0.00	0.00	0.00
გადახდილი ავანსები (1485)	157 288.00	218 229.00	89 247.00
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება/მიწოდება (1710/1711/1735/1738)	327 011.00	64 080.00	285 544.00
მარაგები:			
საქონელი (1610)	0.00	0.00	0.00
სხვა მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)	115 802.00	481 760.00	522 823.00
ძირითადი საშუალებები:			
მიწის ნაკვეთები (2110)	0.00	0.00	0.00
შენობები (2130)	22 500.00	22 500.00	23 750.00
მანქანა - დანადგარები (2150)	9 116.00	6 639.00	4 695.00
ოფისის აღჭურვილობა (2160)	5 043.00	1 172.00	258.00
ავეჯი (2170)	2 704.00	3 064.00	526.00
ინვენტარი (2170)	97 910.00	48 915.00	37 300.00
სატრანსპორტო საშუალებები (2180)	28 589.00	12 222.00	34 222.00
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა (2190)			
არამატერიალური აქტივები (2580)			
სულ აქტივები	1 604 457.00	1 098 813.00	2 185 997.00

შპს „აგრომშენსერვისი“ ს/ნ 204887961

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ვალდებულებები	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 01.01.2019
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (3110)	66 284.00	421 602.00	5 108.00
მიღებული ავანსები (3120)	0.00	0.00	0.00
გადასახდელი ხელფასები (3130)	0.00	0.00	0.00
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე (3160)	0.00	0.00	0.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (3190)	2 136 354.00	377 078.00	1 838 775.00
საგადასახადო ვალდებულებები (3300)	120 376.00	60 855.00	163 766.00
გადასახდელი დივიდენდები (3420)	0.00	0.00	0.00
მესაკუთრეებისგან ნასესხები სახსრები (3220-4220)	0.00	0.00	0.00
ბანკებისგან ნასესხები სახსრები (3210 - 4140)	111 414.00	220 000.00	219 858.00
სულ ვალდებულებები	2 434 428.00	1 079 535.00	2 227 507.00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს -ში (5150)	10 310.00	10 310.00	10 310.00
გაუნაწილებელი მოგება (5310)	0.00	8 968.00	0.00
დაუფარავი ზარალი (5320)	-844724.00	0.00	-51820.00
რეზერვი გაუნაწილებელ მოგებიდან (5410)	4 443.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (5420)			
სხვა რეზერვები (5490)			
სულ საკუთარი კაპიტალი	-829971.00	19278.00	-41510.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 604 457.00	1 098 813.00	2 185 997.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



შპს „აგრომშენსერვისი“ ს/ნ 204887961

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი
ამონაგები:	4 380 479.00	6 512 185.00
მომსახურების გაწევის საქმიანობიდან	4 380 479.00	6 512 185.00
საქონლის გაყიდვის საქმიანობიდან		
საწარმოო საქმიანობიდან		
სხვა საქმიანობიდან		
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	-4716051.00	-5670340.00
საერთო მოგება	-335572.00	841 845.00
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება		
დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯები	-450714.00	-459632.00
ცვეთა და ამორტიზაცია	-32821.00	-47211.00
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	0.00	-830.00
იჯარის ხარჯები	-2750.00	-3000.00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-1406.00	-104038.00
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯები	0.00	-587.00
სხვა შემენილი მომსახურება	0.00	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-3142.00	-3548.00
საკონსულტაციო და აუდიტის ანაზღაურების ხარჯი	-11100.00	-3266.00
საპენსიო ხარჯი	-4796.00	-4713.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-9602.00	-8893.00
საოპერაციო მოგება	-851903.00	206127.00
სხვა ფინანსური შემოსავალი	46 502.00	159.00
სხვა ფინანსური ხარჯი	-21914.00	-74318.00
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-17409.00	0.00
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-844724.00	131 968.00
მოგების გადასახადი	0.00	0.00
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	-844724.00	131968.00
განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ დარიცხული დივიდენდები)	0.00	-123000.00
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	0.00	8968.00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

[Handwritten signature]



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი	საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	9 592 443,00	14 276 891,00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	-9273366,00	-14356723,00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	319 077,00	-79832,00
გადახდილი მოგების გადასახადი		
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	319 077,00	-79 832,00
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას		
მიღებული პროცენტები	46 503,00	159,00
მიღებული დივიდენდები		
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	46 503,00	159,00
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან	0,00	0,00
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	200 000,00	428 225,00
სესხის ძირის გადახდა	-308586,00	-428083,00
სესხის პროცენტის გადახდა	-21914,00	-22498,00
დივიდენდების გადახდა	0,0	-123000,0
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-130500,00	-145356,00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	235 080,00	-225 029,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	195 611,00	420 640,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	430 691,00	195 611,00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:





ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „აგრომშენსერვისი“ არის შუღდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსებულია საქართველოში 1996 წლის აგვისტოს თვეში. შპს „აგრომშენსერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თაბუკაშვილის ქ. N 42.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის წილის მფლობელი არის:

- დავით კანკავა – 100,00%.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად, მსს ფასს-ის 1-განყოფილების „მცირე და საშუალო საწარმოები“ და 3- განყოფილების „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ გამოყენების დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მსს ფასს-ის მიხედვით კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: ფინანსური შედეგების (ანუ მოგება-ზარალი) ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის – ფინანსური მდგომარეობის (ანუ ბალანსები) ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2020 წელი) მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2020 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად.

კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს „აგრომშენსერვისი“-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი ან კომერციული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი, არჩევანი ამ ორ უკანასკნელ წყაროს შორის განისაზღვრება კონტრაქტით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე / გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.3.1 აღიარება და შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.3.3. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებზე სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობები	50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 - 10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წლამდე
სხვა	1 - 10 წლამდე

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სამშენებლო საქმიანობისთვის განკუთვნილი, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, მარაგები წარმოდგენილია სამშენებლო მასალა-ნედლეულის და მაკომპლექტებელი ნაწილების ფართო სპექტრით. სამშენებლო საქმიანობისას ამ მარაგების გახარჯვისთანა დაკავშირებულ პროცესში, ისინი აღრიცხული არიან და ჩამოიწერებიან თვითღირებულებით, ხოლო ამ დროს წარმოქმნილ რისკებს კომპანია იღებს საკუთარ პასუხისმგებლობაში.

სამშენებლო მასალა-ნედლეულის და მაკომპლექტებელი ნაწილების მარაგები კომპანიას გააჩნია, რომლებიც აღრიცხულია და დაცულია სასაწყობო მეურნეობაში და სამშენებლო ობიექტებზე.

3.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ ან ვალდებულებისაგან გასაქვით თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საგადასახადო განაკვეთი და კანონები, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა მოგების განაწილებისას დივიდენდების სახით გადასახდელი გადასახადი 15%-ის ტოლია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.6 გადასახადები (გაგრძელება)

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

სამშენებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღგ-ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებადი საგადასახადო ორგანოდან, ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად.
- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებულ ღირებულების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები, რომლებიც მისაღებია ან გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სამშენებლო მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სამშენებლო მომსახურებისას წარმოქმნილი ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაგრამ შემდგომ ისინი არ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კომპანიას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამ ეტაპზე აქვს გარკვეული სასესხო ვალდებულებები.

3-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

3.11 მსს ფასს-ის ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ეს ცვლილებები გავლენას მოახდენენ კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათ ძალაში შესვლისთანავე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხვით და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ერთი არსებული სამშენებლო მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორების უმრავლესმა ნაწილმა, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, გარკვეული ოდენობით დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანება.

5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის შემოსავალი შედგება უმთავრესად სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

შპს „აგრომშენსერვისი“ სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების შეკვეთებს მოიპოვებს საჯაროდ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვების მოპვებით და აგრეთვე კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებისაგან.

კომპანიის მიერ რეალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების თვითღირებულება წარმოადგენს ყველა პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებული არიან უშუალოდ ამ მომსახურების გაწევასთან. აღნიშნული თვითღირებულების ხარჯები წარმოადგენილი არიან სამ ძირითად ჯგუფად:

1. ძირითადი მასალა - ნედლეული და მაცომპლექტებელი ნაწილების ხარჯი;
2. სამშენებლო სამუშაოებზე მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურება (ხელფასები);
3. სამშენებლო სამუშაოებზე გამოყენებული მანქანა - მექანიზმების მუშაობის ხარჯი.

იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია, ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს არა აგენტის, არამედ სამშენებლო მომსახურების რეალიზაციის აქტიურ ფუნქციას.

შემოსავლები	2020 წელი	2019 წელი
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	4 380 479,00	6512185,00
სხვა ფინანსური შემოსავლები	46 503,00	159,00
წმინდა არასაოპერაციო დადებითი ეფექტი (საკურსო)	0,00	0,00
თვითღირებულების ხარჯები	2020 წელი	2019 წელი
	4 716 051,00	5 670 340,00

3-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
ხელფასები	450714,00	459632,00
იჯარის ხარჯი	2750,00	3000,00
ცვეთა და ამორტიზაცია	32821,00	47211,00
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯი	11100,00	3266,00
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	0,00	587,00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	1406,00	104038,00
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	3142,00	3548,00
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯი	0,00	830,00
საპენსიო ხარჯები	4796,00	4713,00
სხვა საოპერაციო ხარჯი	9602,00	8893,00
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	516 331,00	635 718,00

2020 წლის განმავლობაში კომპანიას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა 71 თანამშრომელი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნახევარზე მეტი ხელფასის ხარჯია (450714,00 ლარი).

7. სხვა საოპერაციო ხარჯი

შპს „აგრომშენსერვისი“ -ს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის დაფიქსირებული ზემოდ აღნიშნულის გარდა სხვა საოპერაციო ხარჯი.

8. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
ფინანსური ხარჯი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებზე	21914,00	22498,00
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი საკურსო სხვაობიდან	17409,00	0,00
სხვა საფინანსო ხარჯი	0,00	51820,00
სულ ფინანსური ხარჯი	39323,00	74318,00

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ფული ბანკში	84 501,00	6 101,00	420 640,00
ფული სალაროში	346 190,00	189 510,00	0,00
	430 691,00	195 611,00	420 640,00

ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

10. მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	407 803,00	44 621,00	766 992,00
მოთხოვნები გადახდილი ავანსების მიმართ	157 288,00	218 229,00	89 247,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		0,00	0,00
სხვა მოთხოვნები	327 011,00	64 080,00	285 544,00
სულ მოთხოვნები	892 102,00	326 930,00	1 141 713,00

შპს „აგრომშენსერვისი“-ს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების რეალიზებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია დიდი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. საანგარიშგები პერიოდის შემდგომ, 2021 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიას უმეტესი ნაწილი ჰქონდა მიღებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სავაჭრო მოთხოვნები, დანარჩენ მოთხოვნებზე კომპანია არ ქმნის უიმედო დანაკარგების რეზერვს იმის გამო, რომ არსებობს გონიერი რწმუნებულება, რომ აღნიშნული დებიტორები 2021 წლის ბოლომდე თავის დავალიანებებს დაფარავენ.

3-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

11. კაპიტალი

11.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 10 310,00 ლარს.

2020 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

11.2 დივიდენდები

ვინაიდან დამფუძნებელი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია, ღებულობს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას გაუნაწილებელი მოგების განაწილების.

2020 წლის განმავლობაში განხორციელდა გამოცხადებული დივიდენდის დარიცხვა და განაწილება.

	2020 წ	2019 წ
გამოცხადებული დივიდენდები	0,00	123 000,00
სულ გამოცხადებული დივიდენდები	0,00	123 000,00

აღნიშნული თანხები მოიცავს დივიდენდის საშემოსავლო გადასახადს. დივიდენდის გამოცხადების ვალუტა არის ლარი.

11.3 ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია შპს „აგრომშენსერვისი“ ამ ეტაპზე არის მომგებიანი, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები

კომპანიას წინა 2019 საანგარიშგებო წლის დასაწყისში ბიუჯეტში სავალდებულო გადახდის თანხის სახით ნაშთი ჰქონდა - 163 766,00 ლარის დავალიანება. 2019 წლის ბოლოსთვის კომპანიას შეუმცირდა დავალიანება - 60855,00 ლარამდე, რაც დაკავშირებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის დავალიანების გადახდასთან. 2020 წლის ბოლოსთვის კომპანიას ისევ გაუზარდა დავალიანება და ნაშთი დავალიანების შეადგენს - 120376,00 ლარს, რაც დაკავშირებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის და გადასახდელ საშემოსავლო გადასახადებთან.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ ბიუჯეტში გადასახადების სახით გადაურიცხავს თანხა 669 816,0 ლარი. კომპანია ბიუჯეტის მიმართ დავალიანების დაფარვას ახდენს ეტაპობრივად.

13. მიღებული სესხები

შპს „აგრომშენსერვისი“-ს 2017, 2018 და 2019 საანგარიშო წლის განმავლობაში ჰქონდა აღებული საბანკო სესხები, მათ შორის:

1. 2018 წელს სესხის თანხა შეადგენს - 219 857,63 ლარს;
2. 2019 წელს სესხის თანხა შეადგენს - 220 000,00 ლარს.
3. 2020 წელს სესხის თანხა შეადგენს - 200 000,00 ლარს.

14. მიწოდების/მომსახურების და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12. 2019	01.01.2019
ვალდებ. მოწოდებიდან და მომსახურებიდან	66 284,00	421 602,00	5 108,00
ვალდებ. მიღებული ავანსებიდან	0,00	0,00	0,00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2 136 354,00	377 078,00	1 838 775,00
სულ მოთხოვნები	2 202 638,00	798 680,00	1 843 883,00

შპს „აგრომშენსერვისი“-ს მომწოდებლები 2018, 2019 და 2020 წლის განმავლობაში არიან საქართველოს კომპანიები. შესაბამისად, 2018, 2019 და 2020 საანგარიშგებო წლების ბოლოს, სამშენებლო-სამონტაჟო და მაკომპლექტებელი მარაგების ფართო ასორტიმენტის შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებები არსებულ დავალიანებებს ადასტურებს.

3-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დებეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდით მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 ტრანზაქციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2020 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასები	33 546,00 ლარი
სხვა განაცემები (პირადი ა/მ იჯარა)	750,00 ლარი
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი	34 296,00 ლარი

3–14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებები, 2021 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით კლიენტ კომპანიებს დაფარული აქვთ უმრავლესობა ვალდებულებებისა. ყველა არსებითი დებიტორულ დავალიანებაზე ხორციელდება ანგარიშსწორების ურთიერთ შედარებები.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნა სამშენებლო საქმიანობის უწყვეტი პროცესის ჩვეულებრივი თანმდევი სიტუაციაა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, ჩვენი აზრით, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

